ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 384

“ 19 ” აგვისტო 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №29-ის მიმდებარედ 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.15.007.097) და 30 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.15.007.090) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ავერსის კლინიკისთვის“ (ს/ნ. 212002580) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122 მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №29-ის მიმდებარედ 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.15.007.097) და 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.15.007.090) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ავერსის კლინიკისთვის“ (ს/ნ. 212002580) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 13 აგვისტოს №25.1371.1527 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №29-ის მიმდებარედ 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.15.007.097) და 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.15.007.090) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ავერსის კლინიკისთვის“ (ს/ნ. 212002580) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, ჭიშკრის ფუნქციონირების მიზნით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთების საერთო საიჯარო ქირის წლიური საფასური - 5760 (ხუთი ათას შვიდას სამოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე